

განმარტებითი ბარათი

„ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ბრალდების გამყარება, მტკიცებულებების მოპოვების გზით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგები გამოიყენება მტკიცებულების სახით, სასამართლო წარმოებაში, მაგრამ რადგან კანონი ადგენს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საიდუმლოებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება ხდება პრობლემატური და იწვევს სასამართლო სხდომების დახურვას, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის სასამართლო სხდომების საქვეყნოობის თვალსაზრისით. წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს სწორედ ზემოთქმული პრობლემის აღმოფხვრის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აღნიშნული პროექტის მიზანს წარმოადგენს, ცალკეულ შემთხვევებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების განსაიდუმლოება, რაც ამ მტკიცებულებების და ზოგადად სასამართლო პროცესის სანდოობას გაზრდის, ამასთან ხელს შეუწყობს მოსამართლეთა მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით პროკურორს უფლება ეძლევა მოახდინოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი მონაცემების განსაიდუმლოება. თუმცა აღნიშნული მხოლოდ მონაცემების მტკიცებულებების სახით გამოყენების მიზნით შეიძლება განხორციელდეს. მონაცემთა განსაიდუმლოება დაუშვებელია თუ იგი ხელყოფს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას და შესაბამისად, არ ადგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა